დანართი №1

უნივერსიტეტის სტუდენტთა 71-ე საუნივერსიტეტო სამეცნერო კონფერენციის ორგანიზების წესი

1. სტუდენტთა 71-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციას ორგანიზებას უკეთებს უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება.

2. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია ტარდება უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე.

3. ფაკულტეტის დეკანი სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ქმნის საკონფერენციო ჟიურის შემადგენლობას და უზრუნველყოფს კონფერენციის ჩატარებას სათანადო სექციების მიხედვით.

4. ფაკულტეტის დეკანატი კონფერენციის საფაკულტეტო სამუშაო პროგრამას (A5 ფორმატი, Microsoft Word, შრიფტი _ აკად. ნუსხური, შრიფტის ზომა – 10) წარადგენს უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებაში **2011 წლის 8 აპრილამდე**. კონფერენციის საფაკულტეტო სამუშაო პროგრამა წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ვერსიით და შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

   ა) ფაკულტეტის დასახელება;
   ბ) სექციების დასახელება;
   გ) თითოეული სექციის ჟიურის შემადგენლობა წევრების აკადემიური თანამდებობის მითითებით;
   დ) კონფერენციის სამუშაო გეგმა (თარიღი, მუშაობის დაწყება-დამთავრების დრო, კორპუსი, აუდიტორია);
   e) მომხსენებლის გვარი და სახელი სრულად, კურსი;
   ვ) მოხსენების სრული დასახელება;
   ზ) სტუდენტის მეცნიერ-ხელმძღვანელის გვარი და სახელი სრულად, აკადემიური თანამდებობა ან სამეცნიერო ხარისხი.

5. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის უფლება აქვთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებს.

6. საუნივერსიტეტო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვება სტუდენტი, რომლის საკონფერენციო ნაშრომს აქვს უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური პერსონალის რეკომენდაცია.

7. ფაკულტეტის საკონფერენციო ჟიური შეიმუშავებს სამეცნიერო მოხსენების შეფასების კრიტე-რიუმებს ქულობრივი მაჩვენებლებით, რომელიც კონფერენციის დაწყებამდე ეცნობება მონაწილეებს.

8. სამეცნიერო კონფერენციაზე სტუდენტის გამოსვლას აფასებს ჟიურის თითოეული წევრი სათანადო უწყისში კრიტერიუმების მიხედვით.

9. კონფერენციის დასრულებისას ჟიური აცხადებს შედეგებს და გამარჯვებულებს.

10. ჟიურის მიერ გამოვლენილი გამარჯვებული სტუდენტების შედეგები დეკანატებმა უნდა წარადგინონ უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებაში, კონფერენციის ჩატარებიდან არაუგვიანეს ორ დღეში.

11. კონფერენციაში გამარჯვებული სტუდენტების დაჯილდოვება მოხდება უნივერსიტეტის მიერ დაწესებული სიგელებით თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა-დოქტორანტურა) და დაკავებული I, II, III ადგილების შესაბამისად.

12. კონფერენციაში გამარჯვებულ მონაწილეთა სამეცნიერო ნაშრომები დაიბეჭდება სტუდენტთა შრომების კრებულში.